



**"ენერგოეფექტურობის  
ცენტრის"  
ყოველკვირეული  
საინფორმაციო  
ბიულეტენი**

N 48, 2023

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
„თუ არ იქნება ევროპულზე უფრო იაფი, მაშინ კომპანიები რუსულ საწვავს არ შემოიტანენ“ .....	2
რუსეთმა ჩინეთისთვის გაზის მიწოდება რეკორდულად გაზარდა .....	3
ელექტროენერგეტიკა .....	3
ლევან დავითაშვილი: ჩვენი მიზანია ევროკავშირის ბაზარზე ელექტროენერჯის გატანა .....	3
ევროკომისარი ქართლის ქარის ელექტროსადგურს ესტუმრა .....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	5
Lotus-ის ულტრა სწრაფი დამუხტვის სადგურს შეუძლია ელექტრომობილის დამუხტვა სულ რაღაც 5 წუთში.....	5
იაპონელმა მეცნიერებმა შექმნეს ლითიუმ-იონური ბატარეა, რომელიც არ შეიცავს კობალტს, რომელიც ინახავს 60%-ით მეტ ენერჯიას და 30%-ით იაფია.....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
რას აკეთებს საქართველოს მთავრობა კლიმატის ცვლილების მიმართულებით? - ირაკლი ღარიბაშვილი განმარტება .....	6
კარეკის ქვეყნებმა კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების ერთობლივ ხედვას მხარი დაუჭირეს.....	7
ღონისძიებები .....	8

## ნავთობი და გაზი

### „თუ არ იქნება ევროპულზე უფრო იაფი, მაშინ კომპანიები რუსულ საწვავს არ შემოიტანენ“

ვახტანგ იობაშვილის აზრით, ამჯერად ნავთობიმპორტიორები უფრო ყურადღებით და ფრთხილად იმოქმედებენ

ნავთობპროდუქტების იმპორტი ოდნავ შემცირდა, თუმცა მოთხოვნა სტაბილურად შენარჩუნებულია. როგორც ვიცით, ნავთობპროდუქტების ბაზარზე ბოლო პერიოდში არაერთი ცვლილება განხორციელდა, რაც დაკავშირებულია რუსეთის გადაწყვეტილებასთან, რომლის საფუძველზეც ბენზინის ექსპორტი შეიზღუდა. შესაბამისად, საქართველოში რუსეთიდან ამ პროდუქტის იმპორტი გაჩერდა. მართალია, რამდენიმე დღის წინ აკრძალვა გაუქმდა, თუმცა ახლა ბიზნესისთვის მთავარია რამდენად მისაღები იქნება საფასო პოლიტიკა და ისარგებლებს თუ არა ქვეყანა შეღავათიანი, ე.წ. „პლატც მინუსის“ ტარიფით, რაც თავის დროზე ნავთობპროდუქტების ბაზარზე რუსეთთან დამოკიდებულებას ამყარებდა.

რაც შეეხება ოფიციალურ სტატისტიკას, ტენდენცია გარკვეულწილად შეიცვალა და მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში, საქართველოში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი 212.3 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი, საქართველოში 262.6 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია შემოვიდა.

შემცირება განსაკუთრებით მასშტაბურია რუსეთისგან შეძენილი ნავთობპროდუქტების მიმართულებით. 21 სექტემბრიდან რუსეთის მთავრობამ, შიდა ბაზრის სტაბილიზაციის მიზნით, ბენზინისა და დიზელის ექსპორტზე დროებითი აკრძალვა შემოიღო, რასაც რიგი გამონაკლისები ერთვოდა. ამან, ცხადია, შეამცირა იმპორტი საქართველოში. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში 42.8%-ით ნაკლები ნავთობი და ნავთობპროდუქტები შემოვიდა. დეტალური სტატისტიკა კი, ასე გამოიყურება:

2022 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საქართველომ რუსეთისგან 157.8 მლნ აშშ დოლარის 163 705 ტონა ნავთობი იყიდა, მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში კი, მხოლოდ 67.6 მლნ აშშ დოლარის 81 608 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები.

მართალია, იმპორტის მაჩვენებლებში კლებას, თუმცა, როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვახტანგ იობაშვილი „ბიზნეს-რეზონანსთან“ ამბობს, ეს მარაგის ხარჯზე მოხდა.

„რუსეთიდან იმპორტი შემცირდა იმიტომ, რომ ამ პროცესს პოლიტიკური ელფერი მიეცა. ეს ეხება ყველანაირ მიმართულებას ეკონომიკაში - პოლიტიკური ენით გველაპარაკებიან.

რაც შეეხება საწვავის იმპორტის შემცირებას, კლება ფიქსირდება რუსეთიდან, მაგრამ მარაგი გვქონდა და ამან ავტომატურად იმოქმედა იმპორტის მაჩვენებლებზე, მოთხოვნა არ შემცირებულა. აქამდე რუსეთი საწვავს გვაძლევდა იაფად - „პლატც მინუსით“, შესაბამისად, რუსეთიდან შემოსული საწვავი ბევრად იაფი გვიჯდებოდა.

რუსეთიდან შემოდის საგზაო ბიტუმი და თხევადი აირიც, რაზეც შეზღუდვა არ დაწესებულა. თუკი ქართული ბაზრისთვის რუსული საწვავის ფასი არ იქნება მისაღები, ეს პრივილეგია თუ არ შენარჩუნდება, შეზღუდვების მოხსნას აზრი არ ექნება. მოწოდების

რეჟიმი არანაირად არ ახდენს გავლენას იმპორტზე, არც ტრანზიტი შემცირებულა რეალურად, როდესაც ერთი ბაზრიდან მეორე ბაზარზე ხდება გადართვა, ეს, რა თქმა უნდა, თავის გავლენას ახდენს", - განაცხადა იობაშვილმა.

წყარო: resonancedaily.com - <https://cutt.ly/KwPtndgX>

## რუსეთმა ჩინეთისთვის გაზის მიწოდება რეკორდულად გაზარდა

რუსეთმა, გაზსადენით - Power of Siberia, ჩინეთისთვის გაზის მიწოდებაში ახალი რეკორდი დაამყარა. გაზის მიწოდებამ, გაზპრომის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბოლოს მაქსიმუმი 23 ნოემბერს მიაღწია.

„25 ნოემბერს ჩინური მხარის განცხადებამ რუსული გაზის მიწოდებაზე ციმბირის გაზსადენით კვლავ გადააჭარბა ყოველდღიურ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. გაზპრომმა მიიტანა ყველა მოთხოვნილი მოცულობა და დაამყარა ახალი ისტორიული რეკორდი ჩინეთისთვის გაზის ყოველდღიური მიწოდებით“, - აღნიშნავს გაზპრომის პრესსამსახური.

ჰოლდინგმა აღნიშნა, რომ მიწოდება ხორციელდება CNPC-სა და Gazprom-ს შორის გაზის ყიდვა-გაყიდვის ორმხრივი გრძელვადიანი ხელშეკრულებით.

2022 წლის ბოლოს რუსეთმა ჩინეთში 15,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ექსპორტი განახორციელა ციმბირის გაზსადენის მეშვეობით. რუსული გაზის მიწოდება ჩინეთისთვის 2023 წელს ციმბირის სიმძლავრის მეშვეობით, სავარაუდოდ, 22 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწევს. 2025 წელს გაზსადენი სავარაუდოდ მიაღწევს საპროექტო სიმძლავრეს 38 მილიარდ კუბურ მეტრს.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/mwPtng5>

## ელექტროენერგეტიკა

### ლევან დავითაშვილი: ჩვენი მიზანია ევროკავშირის ბაზარზე ელექტროენერჯის გატანა

ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ბუდაპეშტში „მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე“ შეთანხმების მინისტრიალში მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს, უნგრეთის, რუმინეთის, აზერბაიჯანის და ბულგარეთის მთავრობათა წარმომადგენლებმა უნგრეთის დედაქალაქში შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე აქტუალური საკითხები განიხილეს.

ლევან დავითაშვილმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ეკონომიკური, მათ შორის ენერგეტიკული ინტეგრაცია. მან მინისტრიალის მონაწილეებს საქართველოს ენერგოსექტორში არსებული სურათი

გააცნო - როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, საქართველო ჰიდრორესურსებით მდიდარი ქვეყანაა და მთავრობა აქტიურად მუშაობს მათი ათვისების მიმართულებით.

„ჩვენი მიზანია ევროკავშირის ბაზარზე ელექტროენერჯის გატანა. ასევე ვმუშაობთ ენერჯის განახლებადი წყაროების პროექტების შემუშავება-განვითარებაზე. ამასთან, ჩვენი მიზანია მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი მცირე და საშუალო ზომის სადგურების მშენებლობას და ამ მიმართულებით არაერთ ღონისძიებას ვატარებთ. ჩვენ ასევე ავამოქმედეთ ე.წ. „ფასის შორის სხვაობის მექანიზმი“, რომელიც ხელს შეუწყობს ენერჯეტიკის სექტორს, კიდევ უფრო სტაბილური გახდეს“, - განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

მან „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის“ პროექტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა რეგიონული ენერჯო-უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების და ამ მიმართულებით, თანამშრომლობის პროცესში. მისი შეფასებით, ეს უმნიშვნელოვანესი პროექტია მინისტერიალის მონაწილე ქვეყნების საერთო მიზნების კონტექსტში.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ლევან დავითაშვილმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ ჰიდროენერჯის განვითარების კვალდაკვალ საქართველოსთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მზისა და ქარის რესურსების გამოყენება და ამ მიმართულებითაც უკვე არაერთი წარმატებული პროექტი არსებობს. ამასთან, მისივე თქმით, საქართველოს მთავრობის მიზანია, რომ ენერჯოსექტორში ჩართული ინვესტორების მიერ გამომუშავებული ჯამური ენერჯია 3-4 გიგავატს აღწევდეს.

წყარო: [energynews.ge](http://energynews.ge) - <https://cutt.ly/BwPtb9Xy>

## ევროკომისარი ქართლის ქარის ელექტროსადგურს ესტუმრა

საქართველოში ენერჯეტიკის საკითხებში ევროკომისიის ვიზიტის ფარგლებში, დღეს ვიცე-პრემიერი ლევან დავითაშვილი და კადრი სიმსონი ქართლის ქარის ელექტროსადგურს ეწვივნენ და პირადად გაეცნენ ელექტროსადგურის ინფრასტრუქტურას და მისი მუშაობის პროცესს.

ქართლის ქარის ელექტროსადგური საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა და ევროკომისარმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის მაღალი დონის ენერჯეტიკული დიალოგის ფორმატში თბილისში გამართული შეხვედრის შემდეგ დაათვალიერეს.

როგორც მათ აღნიშნეს, პროექტი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ენერჯეტიკის სფეროში, კერძოდ კი განახლებადი ენერჯიების სექტორში წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია. ქართლის ქარის ელექტროსადგურის პროექტი 2016 წელს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, ელექტროსადგურის სიმძლავრე 20,7 მგვტ; გამომუშავება კი 84.1 მლნ. კვტ/სთ-ს შეადგენს. ის რეგიონში ამ ტიპის პირველი პროექტია.

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, მხარეებმა თქვეს, რომ განახლებადი ენერჯიების განვითარების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობა ერთ-ერთი პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულებაა და მომავალშიც გაგრძელდება კონკრეტული პროექტების სახით.

როგორც კადრი სიმსონმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია და საჭირო საქართველოში განახლებადი ენერჯის სექტორში, კერძოდ კი ქარისა და მზის ელექტროსადგურებში ინვესტირება, რათა ელექტროენერჯით ვაჭრობა მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ხორციელდებოდეს.

წყარო: energynews.ge - <https://cutt.ly/1wPtBCKd>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### Lotus-ის ულტრა სწრაფი დამუხტვის სადგურს შეუძლია ელექტრომობილის დამუხტვა სულ რაღაც 5 წუთში

Lotus გეგმავს გახდეს მთლიანად ელექტრო ბრენდი 2028 წლისთვის და უკვე გამოუშვა პროდუქციის ასორტიმენტი ელექტრო ყველგანმავლებიდან ელექტრო-ველოსიპედებამდე. კომპანიის უახლესი პროექტია საკუთარი ელექტრომობილის დამუხტვის გადაწყვეტა, მათ შორის 450 კვტ სიმძლავრის ულტრა სწრაფი DC დამტენი, დენის კარადა და მოდულური დამტენი განყოფილება ოთხამდე ავტომობილის ერთდროულად დასატენად.

„Lotus-მა შეიმუშავა თავის კლასში სწრაფი დატენვის საუკეთესო გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწრაფ და საიმედო დამუხტვას მომხმარებლის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“, - თქვა ალან ვანგმა, Lotus Technology-ის ვიცე-პრეზიდენტმა და Lotus Flash Charge-ის გენერალურმა მენეჯერმა.

Lotus აჩქარებს ელექტრომანქანების დამუხტვას თხევადი გაგრილების ტექნოლოგიების გამოყენებით კომერციული დატენვის გადაწყვეტილებების კომპლექტში. ელექტრომობილების დამუხტვის ეს გადაწყვეტილებები მოიცავს უნივერსალურ თხევადი გაგრილების DC დამტენს, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ულტრა სწრაფი დატენვა 450 კვტ-მდე. მაგალითად, Lotus Eletre R-ით 142 კმ-მდე გარბენის დისტანცია მიიღწევა მხოლოდ 5 წუთიანი დატენვით...

წყარო: building-tech.org - <https://cutt.ly/uwPtBIq4>

### იაპონელმა მეცნიერებმა შექმნეს ლითიუმ-იონური ბატარეა, რომელიც არ შეიცავს კობალტს, რომელიც ინახავს 60%-ით მეტ ენერჯიას და 30%-ით იაფია

ტოკიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეიმუშავეს ლითიუმ-იონური ბატარეის პროტოტიპი, რომელსაც შეუძლია 60%-ით მეტი ენერჯიის შენახვა, ვიდრე იგივე ზომის ბატარეებს.

ლითიუმ-იონურ ბატარეებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა მოწყობილობებისა და ტექნიკის კვებისათვის, სმარტფონებიდან ელექტრომობილებამდე, ჩვეულებრივ აქვთ კობალტის, ნიკელის და მანგანუმის შემცველი ელექტროდები. მაგრამ მეცნიერები მუშაობენ უკობალტო ალტერნატივებზე, რადგან მასალა ძვირია და დიდ გავლენას ახდენს გარემოზე.

უფრო ეფექტური ალტერნატივის ძიებაში, ტოკიოს უნივერსიტეტის გუნდმა შექმნა ბატარეა ლითიუმის, ნიკელის, მანგანუმის, სილიციუმის და ჟანგბადის შემცველი ელექტროდებით. ელემენტების ეს კომბინაცია იძლევა უფრო მაღალი ძაბვის მქონე ბატარეების გამოყენების საშუალებას. მაგრამ ცნობილია, რომ ასეთი ბატარეების კომპონენტები გამოდის მწყობრიდანა, რაც ართულებს გრძელვადიან გამოყენებას.

მკვლევარებმა ეს პრობლემა ახლად შემუშავებული ელექტროლიტის გამოყენებით გადაჭრეს. მათმა პროტოტიპმა პატარა ბატარეამ შეინარჩუნა სიმძლავრის 80% განმუხტვის ერთი ციკლის შემდეგ. მისი ენერჯის სიმკვრივე დაახლოებით 1000%-ით მეტია, ვიდრე LFP ბატარეებში და პოტენციურად უფრო მაღალია, ვიდრე ტიპიურ კობალტის შემცველ ლითიუმ-იონურ ბატარეაში.

წყარო: building-tech.org - <https://cutt.ly/JwPtbaEI>

## კლიმატის ცვლილება

### რას აკეთებს საქართველოს მთავრობა კლიმატის ცვლილების მიმართულებით? - ირაკლი ღარიბაშვილი განმარტება

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, დუბაიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების 28-ე კონფერენციის მსოფლიო ლიდერთა სამიტზე იმყოფება.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სამიტზე იგი სიტყვით გამოვიდა და კლიმატური კრიზისების გამკლავებაზე ისაუბრა. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, საქართველოში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

მთავრობის მეთაურის თქმით, გარემოზე ზემოქმედების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გამოიყოფილს საქართველოში.

"მტკიცედ მწამს, რომ კლიმატურ კრიზისებთან გასამკლავებლად რამდენიმე ძირითადი საერთაშორისო ძალისხმევა უნდა შენარჩუნდეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ესენია: 2030 წლისთვის გლობალური ემისიების განახევრება და 1.5°C ზღვრული ოდენობის შენარჩუნება პარიზის შეთანხმების შესაბამისად; ზარალისა და ზიანის ფონდში შენატანების თანამიმდევრული განხორციელება; ჩარჩო-სისტემის შემუშავება კლიმატის ადაპტაციის გლობალური მიზნის მისაღწევად.

ასევე უნდა შესრულდეს კლიმატის ცვლილებებთან გამკლავებისთვის ძალისხმევის დაფინანსების დაპირება წელიწადში 100 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით. კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის მიზნით განხორციელებული ძალისხმევის დაფინანსების გაორმაგების თაობაზე ნაკისრი ვალდებულებაც უნდა შესრულდეს.

საქართველოში სერიოზულად ვუდგებით კლიმატურ კრიზისებთან გამკლავების როლს და მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადავდგით. გარემოზე ზემოქმედების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, წელს საქართველოში 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გამოიყოფილს.

უფრო მეტიც, ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება უკვე ითვალისწინებს დაბალი ნახშირბადის და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის ღონისძიებებს, რაც წელიწადში 300 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს“, - განაცხადა პრემიერმა.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/mwPtv5mn>

## კარეკის ქვეყნებმა კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების ერთობლივ ხედვას მხარი დაუჭირეს

ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (კარეკი) პროგრამის წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ იმუშავებენ ერთად რეგიონში სათბური აირების შესამცირებლად და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის გასაძლიერებლად.

“მხარს ვუჭერთ კლიმატის ცვლილებისადმი მიმართულ რეგიონულ მოქმედებას: კარეკის ხედვას ქვეყნების მიერ პარიზის შეთანხმების პირობების შესრულებაში დასახმარებლად,“ - ნათქვამია კარეკის 22-ე მინისტრიალის ერთობლივ განცხადებაში, რომელიც დღეს, პირველად თბილისში გაიმართა.

განცხადებას მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის რესპუბლიკის, მონღოლეთის, პაკისტანის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის მინისტრებმა და მთავრობების მაღალი დონის წარმომადგენლებმა.

აზიის განვითარების ბანკის ინფორმაციით, ხედვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ენერგოტრანზიციისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაუმჯობესებას, ელექტროენერჯით რეგიონული ვაჭრობის გაძლიერებას, ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვას და კლიმატგონივრულ ინფრასტრუქტურასა და სტრატეგიებში ინვესტირებას. ხედვა მოუწოდებს პროგრამის განვითარების პარტნიორებს რეგიონის კლიმატის დღის წესრიგის მხარდაჭერი თანამშრომლობისა და კოორდინაციისკენ.

მიმდინარე წელს გამოქვეყნებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა მძიმე გავლენა იქონიოს კარეკის რეგიონზე, როგორცაა ტემპერატურის საშუალოზე მეტად მატება, წყლის გაზრდილი დეფიციტი, გაფართოებული გაუდაბნოება და მცინვარების დნობა.

რეგიონში წყლის პრობლემების გადასაჭრელად, კარეკი დაეხმარება ქვეყნებს საზღვართშორისი წყლის მართვისა და წყლის პროდუქტიულობის ექსპერტიზისა და ცოდნის გაძლიერებით და სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით მეტად ეფექტიან საირიგაციო სისტემებში ინვესტირებით.

კარეკი ასევე დაეხმარება ტრანსპორტის დეკარბონიზაციას, რეგიონული კავშირების გაძლიერების ხელშეწყობის პარალელურად ეფექტიანი სატრანსპორტო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობის გზით. სხვა პრიორიტეტული მიმართულებებია კლიმატ-გონივრული ქალაქების განვითარება ელექტოფიცირებული მასობრივი სატრანზიტო სისტემებით და კლიმატისა და ბუნებრივი კატასტროფებისადმი მედეგობის გაძლიერება რეგიონული რისკების მართვითა და დაფინანსების ინიციატივებით.



კარეკის პროგრამა ქვეყნებისა და განვითარების პარტნიორების თანამშრომლობაა, რომლებიც ერთად მუშაობენ მდგრადი განვითარებისთვის, ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად და სიღარიბის შესამცირებლად. კარეკის სამდივნოს წარმოადგენს აზიის განვითარების ბანკი (ADB).

ADB-ს მიზანია, ხელი შეუწყოს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის წარმატებულ, მრავალმხრივ, მედეგ და მდგრად განვითარებას. ამავდროულად, ის აგრძელებს მუშაობას რეგიონში უკიდურესი სიღარიბის აღმოსაფხვრელად. 1966 წელს დაარსებული ორგანიზაცია აერთიანებს 68 ქვეყანას, მათ შორის 49 აზიის რეგიონიდანაა წარმოდგენილი.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/EwPtvCMA>

## ღონისძიებები

[სემინარი - ენერჯოფეექტურობის ვალდებულებების სქემები და სხვა საბაზრო ინსტრუმენტები 2030 წლის მიზნების მისაღწევად!](#)

თარიღი: 07 დეკემბერი, 2023

ორგანიზატორი: ENSMOV Plusproject

ადგილი: საფრანგეთი, პარიზი, EDF-ის შენობა TourLégende, 20 PlacedelaDéfen

[ZeroCarbonIndustry 2024](#) - კონფერენცია ნულოვანი ნახშირბადის მრეწველობის შესახებ

თარიღი: 30-31 იანვარი, 2024

ორგანიზატორი: eceee

ადგილი: ანტვერპენი, ბელგია